ღანი

„ღანი“ - პროექტის კონცეფცია

ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა; სიყუარული ნიშნავს ყოფნას ერთ სულად, ხოლო სიყუარული უფლისა, ამასთან ერთად გზაი არს განღმრთობისა“ (წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, ტ. II. გვ. 312)

„სიყვარული – განღმრთობის გზა“ წარმოადგენს კულტურულ და საგანმანათლებლო ინიციატივას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა საზოგადოებრივ აქტივობას: კონკურსებს, გამოფენებს, სპექტაკლებს, დისკუსიებსა და ლექციების ციკლებს.

ინიციატივა მიზნად ისახავს: სიყვარულის უნივერსალური და საღმრთო ბუნების შემეცნებას; განღმრთობის, როგორც ადამიანის სულიერი მდგომარეობის უმაღლესი ფორმის გააზრებას ამ ღირებულებების ხელოვნებაში ასახვას; ქართული სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციული ესთეტიკური ფორმებისა და თანამედროვე მხატვრული ხერხების გამოყენებით ხელოვნების ახალი ნიმუშების შექმნას.

ეს წამოწყება გახდება თანამედროვე ხელოვნებაში სულიერი ძიების, კულტურული მემკვიდრეობის ხელახალი გააზრებისა და მისი თანამედროვე ინტერპრეტაციის უნიკალური გამოცდილება.

„ღანი“

„ღანი“ არის პროექტი, რომელიც განკუთვნილია სტუდენტებისა და ახალგაზრდა ხელოვანებისთვის და წარმოადგენს ინიციატივის „სიყვარული — განღმრთობის გზა“ შემადგენელ ნაწილს.

პროექტის ორგანიზატორია თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია. ღონისძიების ძირითადი კომპონენტებია:

კონკურსი — იმართება სამ პროფესიულ მიმართულებაში: I-ქანდაკება, II-არქიტექტურა, III-ფერწერა, გრაფიკა;

გამოფენა — კონკურსის შედეგად შერჩეული ნამუშევრების ერთობლივი პრეზენტაცია;

დაჯილდოება — თითოეულ მიმართულებაში გამარჯვებულების გამოვლენა და პრიზების გადაცემა.

საკონკურსო თემად შერჩეულია: ქართული ასომთავრული ასონიშანი ***„ღანი“*** **(Ⴂ)**

კონკურსში მონაწილე ხელოვანებს უშუალოდ ღანის გრაფიკული გამოსახულების გარდა შეეძლებათ თემასთან დაკავშირებული სხვა ალეგორიული თუ მხატვრული სახეების გამოყენება. მათ მიეცემათ შესაძლებლობა, თავიანთ ნამუშევრებში გააერთიანონ ტრადიციული ტექნიკები და თანამედროვე ტექნოლოგიური მიდგომები.

ქართული დამწერლობა ეროვნული კულტურისა და კაცობრიობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა. სამი ქართული ანბანიდან ასომთავრული გამოირჩევა თავისი გრაფიკული მონუმენტურობითა და სიმბოლური დატვირთვით. „***ღანი“*** **(Ⴗ)** - ანბანის რიგით 26-ე გრაფემაა და რიცხვითი მნიშვნელობით 700-ს უდრის. „***ღანი“*** **(Ⴗ)** კავკასიურ ასონიშანთა ჯგუფს მიეკუთვნება და უნიკალურია, რადგან სხვა ანბანებში მისი ანალოგი არ მოიძებნება.

ზოგიერთი მკვლევარი „***ღანს“*** **(Ⴗ)** ღვთის კარს უწოდებს. მისი მოხაზულობა თაღს, კარიბჭეს ან პორტალს მოგვაგონებს – სივრცეს, რომელიც აერთიანებს ზეციურსა და მიწიერს, მატერიალურსა და სულიერს.

პროექტი „ღანი“ გახდება პლატფორმა, სადაც ხელოვანები, მკვლევრები და ფართო საზოგადოება შეძლებენ სულიერი, ფილოსოფიური და შემოქმედებითი ხედვების გაზიარებასა და განახლებას.

Tbilisi Architechts and Sculptors Association

თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია